



წლიურად 5 მ., ნახ. წ. 3 მ., 1 თვ. 40 კაპ. ცალკე ნომერი 10 კ. - ხელის-მწვერა მიიღება „სოციალუმი“-ის სტამბაში. მისამართი: თიფლისი რედ. „Театри და Цховреба“ I. Имедашვილი

შასი 10 კ.

შაბათი, 17 დეკემბერი. № 42—1915



ხერგი ნიკოლოზის ძე ვორონოვი

მოსკოვის სამხატვრო თეატრის მსახიობი, სახალხო სახლში რუს. დრამ. წრის მიერ რეჟისორად მოწვეული, მხატვრულად მოწეობად წარმოადგენებს სდგავს.

17 დეკემბერი

ქალი — სსცენო ხელოვნებას ერ-
სცენის თვალთი შუქმქვენ ღამაბოთბა-
ნია ქალი..

ჩვენი თეატრის აღორძინებას მაშინ დაიწყო, როდესაც სამშობლო სცენას მოველინენ მუყაითი და თავდადებული ქალები — პირველხანად ოლა და მარ. ყიფიანები, ეფრ. კლდიაშვილისა, ბაბო ავალიშვილი, ელ. ბრძენი-ანტონოვსკისა და, შემდეგ, მაღალნიკიტრნი ნატო გაბუნია და მაკო საფაროვა-აბაშიძისა, რომელთაც საზოგადოებრივი ცრუმორწმუნება გადალახეს და მ ველის თავისის არსებით შეუდგნენ სამშობლო სცენის საძირკვლი განმტკიცებას...

და დიდი საეროვნო საქმეც გააკეთეს.. მათ შემდეგ გამოგვიჩნდა რამდენიმე ნიკიტრი ქალი, მაგრამ იგინი, თეატრის დაწესი



გამო, მიმოიფანტნენ, ან კანტი-კუნტად მო
ნაწილოვნად შემთხვევითი წარმოდგენებში..

არიან ისეთებიც, რომლებიც მხოლოდ
ჯამაგირით ჰქონდავენ, თავის „მოღვაწეობას“
და ნამდვილ შემოქმედებითი მუშაობაზე—ქარ-
თელა—სამშობლო სტენის უნგრად სამსახურ-
ზე—ნაძლებ ფიქრობენ...

და დღეს ჩვენი სცენა—სახალხო თუ
პროვინციის თეატრები—ქალის მხრით დღეს
ნაკლებად განვითარდა...

ქართველი ქალი ჩვენს წარსულში მუ-
დამ საბატოლ ძსრულდება თავის პოვალეო-
ბას ქვეყნის წინაშე—სახელმწიფო, სარწმუ-
ნოებრივ, სამწერლო და საოჯახო ასპარეზზე...

დღეს ჩვენი ერის ერთი დიდი განმან თ-
ლებელი ტაძართანა თეატრა...

და ნუ თუ ქართველი ქალი დაიშურებს
მუშაობას ისეთ სასახლო და ერისთვის სა-
სარგებლო ასპარეზზე, როგორც თეატრია,
მით უმეტეს სახალხო—სასოფლო თეატრი!

ქართული თეატრი დაბა-სოფლებში ფეხს
იკიდებს რომ რავდენათაუ უფრო მეტს დახმა-
რებას აღმოუჩენს ქალი თვისის მონაწილეო-
ბით, იმდენად უფრო განზე გაშლის ფრთას
ჩვენი სცენა!..

უქლოდ-კი ჩვენი სცენა ბრუციანი იქ-
ნება, თვალ-მოკუტული...

მაშ, ქართველი ქალი, მხოლოდ ნიკით
მოსილო, ნუ იშურებ შრომასა და მშობელ
სცენას მოაშურე!..

**სიტყვიდან
საქმეზე**

უთავობა და უთაურობა

რომ ყოველგვარ საქმის დამ-
ღუპველია, ეს ყველაზე მეტად

ჩვენმა ქვეყანამ უნდა იცოდეს...

შრომა ჩვენი—ბრძანება სხვისი, მამული
ჩვენი—მატონი სხვა, სკოლა ჩვენი—სწავლა
უცხოური, ქალაქი ჩვენი—სხვისი სახრავი,
სოფელი ჩვენი—სხვისი საწველი და სხვ.,
ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების რომელ
მხარეს აღივებთ, საკუთარ თავსა და თაოსნო-
ბას არ, იყოს მოკლებული!..

და ვიდრე ჩვენი ქვეყნის საზოგადო, სა-
ქალაქო თუ სასოფლო მმართველობაა სა-
დადეს თვითონ არ ჩაივადებთ ხელში, ვიდრე
ჩვენი ქვეყნის მოყვარული, საქმის მკოდნე

და ხალხის წინსვლის სურვილით გატაცებუ-
ლი კაცი, არ ჩაუდგება სათავეში ჩვენს საქ-
მეებს, მანამდე ჩვენი წინსვლაუ შეუძლებე-
ლია, ვერ დაწინაურდებით... ერთე სიტყვით
—ჩვენის ქვეყნის საქმე ჩვენვე უნდა გვექი-
როს ხელში...

ბევრჯელ, და ძლიერ მწარედაც, ვიწვინეთ
უცხოთა ხელის შეყურება და ჩვენდა შეუ-
ნებელი მმართველობა...

დღესაც-კი ჩვენი დაბა-სოფლები სიბნე-
ლითაა მოცული, სკოლები ყოვლად უკულ-
მართი, გზა-ხიდეგი გავერანებული, კულტუ-
რული ცხოვრება მოღუწებული..

საღლა სოფელი და მისი შეგნებული
ხმა?—სოფელს განაგებს მხოლოდ გზირ-მამა-
სახლისი, ბოქალ-სტრატეგიის ყურმოჭრილი
ყმა, რომელსაც თავის უვიციობით იმ უფლე-
ბითაც-კი ვერ უსარგებლნია, არსებული კა-
ნონი რომ ანიჭებს..

ამ მოკლე ხანში ახალი წესის შემოღე-
ბას აპირებენ სოფლებში და თუ ამ თავითვე
არ შევეცადებით, სოფელს მკოდნე, დაკვი-
რებული და ქვეყნის სიყვარულით გატაცებუ-
ლი კაცი ჩაუდგეს, ვერც ახალი წესი შესე-
ვლის სოფლის ცხოვრებას..

დროა სიტყვიდან საქმეზე გადავიდეთ და
დღემდე თუ მხოლოდ ქალაღლზე ვსწერდით
ჩვენს კარგს სურვილებს, ან ზვირ-ვისიტყვა-
ობლით, ახლა საქმით განვახორციელოთ
იგი...

სოფელმა უნდა აუხვიოს ძველ გზას და
სათავეში ჩაიყენოს სოფლისა და სამშობლო
ქვეყნის სიყვარულით აღგზნებული და სახელ-
მწიფო ყოფა-ცხოვრებისაც მცნობი კაცი,
რომ მინდობილ მოვალეობას შეგნებთ ასრუ-
ლებდეს... გააკეთოს ის, რაც ხალხს მოუხ-
დება.

ასევე მმართველს ქალაქსაც ..

ამ მოკლე ხანში მოხდება გორის მოუ-
რავის არჩევნები. გორულებს მმართველ დიდი
შორს გამჭვრეტელობა, რომ თავისი ქალაქს
ისეთი თავი მოადგან, რომელიც უმოძრო
ქალაქს წინსვლისაკენ ამოძრავებს ჩვენის ქვე-
ყნის საკეთილდღეოდ..

დროა, დრო სიტყვიდან საქმეზე გადავი-
დეთ...





პლატონ ირაკლის ძე ლევაია

ჭიათურის უოფილი ხცენის მთეუარე, გერ-
მანიის მხარეზე იმჟა გმირულ შტქმეღებათათვის
წმ. ვაიფის თხაეუ ხანისხის ჟერებით, ჯიფი-
რის წადებით დაჯიფდობებულა. წადგენილია
წმ. სტანისდავას, წმ. ანხას ორდენებითა, თქ-
რის იარაღსა და ფანჯათა სამხედრო შედალსე.
დაჭრილია და თბილისში იმყოფება სამკურნალად.

განცხადება

დაეკარგე ძმობილი, დაეკარგე ნუგეში,
და ახლა დაეკარგულს დავეცებ მას;
გულ-წყვეტით დავეტურებ ცრემლების გუბეში,
გულ-წყვეტით დავეცებ საყვარელ ძმას...

ძებნისგან დაღლილი, თვალ-აქრემლებული,
დაებურენი მტირალი შინ;—
სიდა ხარ, ძვირფასო; კარგო და კვილო,
სიდა ხარ, — ვინ მეტყვის, ვინ?..

Handwritten signature

გაიდგიძე! შვილს გტაცებენ!

(თანამედროვე სურათები)

— ვაა! ერთი პური რომელია! დედიჯან
ორი პური უნდა მოგეტანა, შენ არ იცი? გზა
ლა ვაენობა... ყველაფერი დაძვირდა. ვაენ-
ში გსაგზავნი ქალღლა მოგეცე და ერთ პურ-
ში? აბა სად გაგონილა?..

ქვევი ან მომავალმა უნებურად მოვკარ
ყური გეურქასი ღაპარაკს. ივიხზე
მედუქნის წინ ხანში შესული დედაკაცი
იღვა. საბრალო, თვალცრემლიანი ეხვეწებო-
და გეურქას.

— შენი ქირიმე, შვილო, ნუ დამაღუპავ!
რამდენი ხანია ი დედაგამქარლისაგან წიჯრი
არ მომსვლია. იონდა მე მიინცე მ ვწირო, ეგებ
შავიტყო რა ამბავია იმი თავს, აბა ახლა სა-
ნამ შე ავღონდილ-ჩამოვღონდილდები—კი-
დეც დაღამდებმა, თორემ ახლავე მოგარბივე-
დი ი ერთ პურსაც.

გულსაკლავმა სიტყვებმა შემაჩერეს.

— კარგი, დედიჯან, წ იღე, მაგრამ შენ-
ზედ ერთი პური იქნება აი!

ამ სიტყვებით გაღმობაწოდა გეურქამ იქ
მღამ დედაკაცს ფოსტის ქალღლი და კონ-
ვერტი, თანაც რაღაც მხეცურ სიაზონებთ
აიკომიკებდა ქონში მიფლულ თვალგებს.

— ღმერთმა დიდი დღე მოგცეს შვილო,
მოგარბივე, გენაცვალე, მოვარბივე.

ამ სიტყვებით ჩამოვიდა საბრალო დედა-
კაცი ღუქნის პატარა კიბიდან და მძიმე-მძიმედ
ზევითკენ გასწია. მეც ავღედენე. საწყალს შა-
ვი ძველი ტანისაშოსი ეცვა და შიშველი ფე-
ხები დავლჯილ ფლოსტებში წაეყო. გზაში
ვედარ შეეძელ და გამოვეღაპარავე.

— დიდებო, გაზა სახლში აღარავინა
გყავთ, რომ ქალღლის სასყიდლად თქვენ წა-
მომძანებულხართ?

თვალ რეჟიანიმა შემომხედა.

— ემ! შენ კი გა ხარე, შეილო! ვინდა
მყავს გენაცვალე, ე ბიჭი მიხაა და სულ სა-
მუშაოზე დიდის ი დედაგამქარლი თედო კი-
დენ, აი, წელიწადია, რაც...

აქ საბრალომ ვედარ შენძლო აზრის და-
მთავრება და მწარე ქვითინი ამოუწო:



— დიდდლო ვანა რა გაქეთ სატირელი? შევეკითხე ისე, თითქოს არც კი მტონდორდეს მიზეზი იმის მწუხარებისა.

— სატირელი რაღა არა მქვს, შე ლო! მომიგო გულამომჯდარმა. ჩემითანა ტანჯული ადამიანი მთელ დუნიაზედ არ მოიპოვება... ობოლ ოხერი ერთ საწყალ კაცს მიმათხოვეს... ორი ვაჟი მეყოლა იმი ხელში. საწყლად ცხოვრობდით, მარამ ქპრისა და შვილების შეშუარე ბედნიერად ვთვლიდი ჩემ თავს...

ი დალოცვილმა ღმერთმა ჩემთვის ისიც არ გაიმეტა.. ოთხი წლი შემდეგ ქპარიც მომიკვდა... თუ რაზე მეზბადა, იმი დამაზხვას მოუნდა, დავრჩით მეცა და ჩემი შვილებიც ღვთის ამარა... გველი ქერქში გაფეჭვრ და, როგორც იყო, შვილები წამოვხარადე. ჩემი ჯანითა და წესში ჭაფით იმდენი ვეცადე, რო ორთავეს სოფლი შკოლაშიაც კი ვაწაფელე.. წამოიხარდნენ... ი დღეგამქრალი ჩემი თელუა მეტყოდა ხოლმე: „ქარგი, დედი, ნულარავის გამსახურება... აი მე დავღვები საღმე მოჯამაგირეთ და კარგა ვაცხოვრებო“...

რო თქვი, ახლა კი ღმერთმა ჩემქნაც მიიხედა, აღარა გ მიქრდება-რა მეთქი, ი დალოცვილმა წორედ მაშინ არ მომტაცა ერთი შვილი!.. დამჩხა ერთი შვილი.. ენაცვალოს დედა ჩემ მიხას... ისღა ჩემი ერთად ერთი ნუგეში. მერე რა მხნე ვაქცატი დამიღება! ყოველ დღე სამუშაოზე დიდს..

ამ ღაპარაკით ჩვენ სახლსაც მიუახლოვდით. გამოვემშვიდობე, მაგრამ იმის სევდით მოცული სახე სამუდამოდ აღიბეჭდა ჩემს ხსოვნაში.

სამოდ კვირის შემდეგ სამწერლოსკენ ჩავიარე. საქმე დღე იყო, მაგრამ კარგა ხალხს მოეყარა თავი. აღარ ისმოდა ჩვეულებრივი ყავანი. ამით მიხედვობდით, რომ არა სახამოვნო რამ გამოცხადებიათ. შორიდანვე შეატყობდით ყველას სახეზე ნაღვლიანობას... ერთი, მთლად გათეთრებული, წელში მოზარდი გლეხი წინგარდის მოაჯარს დაბჯენოდა და სევდიანი ხმით ღაპარაკობდა. მის გულის სიღრმიდან ამონახეტქ სიტყვებში ყველას გულის წუხილი იყო ჩაქსოვილი..

— ჩვენ ვილა შეგვინახავს? ან ჩვენ ხარ-

ჯგებს ვინ გაუძღვება?

სამწერლოს კარებზე რაღაც წითელი ქალღი გამოეკრათ ..

მიუახლოვდი. წავიკითხე.. და მივხვდი იქ მყოფთა მწუხარების მიზეზს. ყმაწვილებს კითხულობდნენ ჯარის კაცებად...

— ამ თვის X-ში ქალაქა უნდა გამოცხადნენ არა? შემეკითხა მოხუცი და თან დაუმატა: ი დალოცვილები ქართულათ მაინც დაწერავდნენ ე რ ღაც „ობიაველიანს“ რო ჩვენც წავგვეკითხა... რუსულათ რო წერავდნენ, აქ ვინ წაეკითხავს... მარამ... მწერლითვინ გამოსადგვია... მალე შეგვეტყუებს.

— დიახ. უბასუხე ნაღვლიანად.

— არ იხსნის არც ოჯახური და არც ქონებრივი მდგომარეობაო, მართალია?

— ეგრეა... მივუგე და ამავე დროს მომაგონდა საწყალი თვალკრემლიანი ობოლანთ ნინო, თელუას და მიხოს დედა, ამ საი კვირის წინად რო შემხვდა მედუქნესთან, — და შეველ სამწერლოში.

— ობოლანთ მიხაც მოკითხულია? შევეკითხე მე..

— მოკითხულია .. მიხასუხა მუერალმა დ მშვიდებით და თან ამოკითხა: Михаилъ, вдовы Нины Оболашвили...

— ოხ! საბრალო ნინო! გტკებენ შენს ერთად ერთ ნუგეშსაც... წამოვისროლე გამწარებულმა ..

— მეც ემ ერთი კვირის წინ იმის თვალის სიკვდილის მოწერილობა მოვიდა... მეზრალეობდა საწყალი და გუშინწინდა გამოუცხადე... სიტყვა მწერალმა ისეთის ხმით, გეგონებოდათ ეს კაცი ანგელოზი უნდა იყოსო...



ფერისცვალობა იყო მდევდღმა წირვის შემდეგ, მშობლებს ნათესავების თანადსწრებით, ჯარში ახლად გაწვეული ბიჭები დალოცა. ახალგაზღვები ოცამდის იქნებოდნენ. ზოგს მართლა არა უქირდა-რა, მაგრამ ზოგზე კისულ ვერ წარმოიდგენდით, თუ ისინი მართლა ჯარის-კაცებად იყვნენ გაწვეულნი.

— მაინც მივიღო რთ და მიინც... აბა ახლა შენ იცი, შაქრო, როგორ ჩაპყრავ ჩონგურს.

— მართლა ბიჭო! ვითამაშოთ.

— დაუქარ, შაქრო! იქნებ უკანასკნელი იყოს ეს ჩვენი თამაშობა ჩვენ მიწა-წყალში. ისმობდა აქეთ-იქდან ახალგაზდათა ხმები.

— ითამაშეთ, გენაცვალეთ, ითამაშეთ.

— თქვენ სამიწე დღეებსაც ეყოფათ დარდი და ვარამი.

ამბობდნენ თვალცრემლიანი დედები. მალე ჩვენ საყდრის გალავანში კარგი თამაშობა გაჩაღდა. დარდიანი ჩვენი ახალგაზღვები ცდილობდნენ თავი მოემხიარულებინათ. მღეროდნენ კიდევ, მაგრამ დალოცება თუ ყველას არა, მეტ წილს წინც ეტყობოდა.

— მოდი მიხავ! შენ რალს დალოცებულხარ, ითამაშე. გასძახა შაქრომ ერთ ახალგაზდას, რომელიც კარგა მოშორებით თუთის ქვეშ იდგა, გულზედ დაკრეფილი.

— არა, შევიღებო, მაგას ნუ ჩააცივდებით, ეგ არ ითამაშებს ჯერ ორი კვირაც არ არი, რაც თედუას ომში მოკვლა ვაიგეს. იმი სიყვდილის გაგებაზე დედაც ავად ვაუხდა... მწუხარე ჰყავ... უთხრა ჯიღებს ერთმა მოხუცმა დედაკაცმა.

— ახლა, რავექათ ბები! ყველანიც დავიზოცებით, მაშ ალარც უნდა ვილხინოთ და აღარც ვითამაშოთ? უპასუხა შაქრომ.

ამ დროს გალავანში შემოვარდნილმა, არყით გამობრუებულმა გზირმა დაიღრიალა:

— აბა, ბიჭებო, წავიდეთ!

ჩვენმა ჯიღებმა შესწყვიტეს თამაშობა. დედებმა და ნათესავებმა კრემლების ფრქვევით გადაჰკოცნეს წამსვლელები.

— მშვიდობით, შვილო!

— მშვიდობით დედი!

— მშვიდობით პაპე.

— შვილო გენაცვალე, წიგნი მაიწერავ ხოლმე.

— მშვიდობით შვილო! მიამაზეციერს ვეხვეწები შენს მშვიდობით დაბრუნებას.

ისმობდა თვალცრემლიანთა ნღვლიანი სიტყვები... ძნელია საერთოდ გამოთხოვების უკანასკნელი წუთები... ძნელია, როდესაც ეთხოვები შენს სამშობლოს, ეთხოვები სულსა და გულის სწორებს და არ იცი კიდევ გიღრისები მათ ნახვის თუ არა... გამოთხოვების ამ უკანასკნელ წუთებს განიცდოდნენ ჩვენი ახალგაზღვები და მიტომ თვალს ცრემლი მორეოდათ.

კოტა ხნის შემდეგ შაქრო ჩონგურის კვრიტ გამოვიდა საყდრის გალავნიდან, მას სხვები გამოჰყვნენ. აქამდის მწარე ფიქრებში წასული მიხაც გამოერკვა. მოიმშრალა თავლებზე მომდგარი ცრემლები და მიმავალ ჯგუფს შეუერთდა.

— ნუ დარდობ მიხა! გამაგრდი. კაცს კირში უნდა გამაგრება. ნუ გეშინიან კარგა გახდე ა დედაშენი. შენ წაყვანასაც ჯერ არ გავგებინებთ... შენ კარგად იყავ...

ჩვენი ჯიღები გზას გაუდგნენ, მათ ხუთიოდე კაციც აედევნა. ისინი მამები იყვნენ... შორიანბლო თოფაკიდებული გზირიც მიბარბაცებდა.

ის იყო შინისკენ წამოსვლა დავაპირე, რომ უცებ ზევიდამ საზარელი წვილ-კვილი შემომესმა. გავიხედე თმებ გაწეწილი, პერანგის ამარა გაფთრებული დედაკაცი მორბოდა და გულსაკლავად გაჰქოდა:

— მათე! მათე! გაიღვიძე, არ გაატანო!

საზარელ წვილ-კვილზე მალე მთელი უბანი იქ დედაც. ცდილობდნენ დედაკრათ საბრალოდ დედაკაცი, მაგრამ ამაოდ. იმის დაქერა ისე ძნელი იყო, როგორც მთიდან მომსქედა უზარმაზარ ზევისა. ვინც კი მიჰკარებოდა, ყველასათვის ტანთსაცმელი ჩამოეფხრიწნა.

— გვიშველეთ ხალხნო! გვიშველეთ!

— უი, ქა, რატო არ დაეგზმავდები!

— საწყალი ობოლანთ ნინო!

— გავეებულა!..

— მიწვისსავან იქნება!..

— საწირაგები შამაველეთ, ხალხნო! საწირაგები!

— მეცათ ქა, ნუ იკერთ. ხო ხელავთ პირდაპირ საყდრისკენ მიდის.

— ვენაცაველ მაგი მადლს... მაგისაგან იქნება დაქერილი.

— საწყალი, მეგრ რა აღამიანი იყო!.. ისმოდა ბავშვებისა და დედაკაცების წივილ-კივილში სხვა და სხვების გულსაკლავი სიტყვები... გაფთრებული ნინო შევარდა გაულავნში და ერთ საფლავის ქვას დაემხო.

— ადგ, მათე! გაიღვიძე, შეიღს გტაცე ბჭე! ჩაპკოდა გულშემზარავად. ივის კივილზე ყველას ცრემლები მორეოდა თვალზე. ბავშვებსაც კი რალაც ჩაფქვრება ეტყობოდათ. ზოგჯერ ინი შიშით დედებს ეკვროდნენ.

— საწყალი! ქმრის საფლავი თუ ჰგონია! — ამ უბედურს ერთი შეიღის სიკვდილი არ ეყოფოდა? მისას წაყვანა რაღათ ვაგებინეთ?..

— წუღან იმ ადრე და მალე კარგ უნახავ გზირმა უთხრა. მისა წამოვიდა თუ არა ვალავინში, ომში უნდა წაიყვანონო, — უამბობდა ერთი დედაცაკი თავმოყრილთ.

... — მისა ომში უნდა წაიყვანონო? შესხახა საზარლად ნინომა და ფეხზე წამოიქრა: იმი მამას ვეტყვი... არ გავატანო! სთქვა ესა და თავპირის ღადრით და წივილ-კივილით სახლიდან გამოიქცა.

უბედური ნინო ისევ გულ'აკლავად ქვითინებდა. დედაცაკები ბევრს ცდილობდნენ, როგორმე დეგმშვიდებინათ, მაგრამ ამაოდ.

კარგა ხნის ქვითინის შემდგომ ნინო უცებ წამოჯდა საფლავის ქვაზე და სივრცეს მიაპყრო თვალები. ლოყებ დაღადრულს კარგა ხანი ჰქონდა ასე საღდაც მიპყრობილი ცეცხლივით მოეღვარე თვალები. შემდეგ უცებ ზეზე წამოდგა და საზარლად გადიხარხარა:

— ხ! ხა! ხა! ხა! გაიგეთ! მათემ მითხრა „მშინავ“ო. სთქვა ეს და ისევ ქვაზე წამოჯდა. დამშვიდდა.

— აბა, ადგ ნინო! კარგია, წავიდეთ სახლში!

— ადგ, აი მეც შენთან წამოვალ! ვუბნებოდნენ აქეთ-იქიდან დედაცაკები.

თითქოს შეისმინაო დედაცაკების ხევეწა, ადგა და თავჩაღუნულმა თავის ქობისკენ გასწია. ხალხი აედგენა.

— აკი მიზნისაგან არ იყო!
— აკი საწირაგები არას უშველიდნენ! ისმოდა მოხუც დედაცაკების ხმები.

ჯერ გალავანსაც არ ეყავით გამოცილებულნი, რომ ნინომ უცებ სახე მოიბზიარულა და დედაცაკებს დაუწყო ლაპარაკი.

— აი, მე ხომ მოვიდიარ... წამ-ღით ჩემთან ყველანი... იქნებ არ იცით, თედუა რო მამივიდა? ენაცვალოს დედა! აი ეს ფარჩის კაბა თითონ ჩამაცო და თქვენ დ.საპატრებულად გამამზავანა... მწერელმა დამიხსნაო, იციც დამიპატრეყო... ერთი დიდი ღმინი უნდა გავმართო...

— ჰო! ნინო! ჰო! ეუბნებოდნენ დედაცაკები.

— საწყალი!
— ჰეი! რა ყოფილა დედი ჯიგარი!
— რას ამბოვ, კაცო, შეიღებზედ ამოსდიოდა მავ უბედურს მზე!

— ჰეი! ზოგჯერ დედებს არა ჰგვინებია!.. ისმოდა თავთავიანთ სახლებსისკენ მიმავალ მოხუც გლეხების ლაპარაკი.

— საწყალი ნინო! ეკითხოთ იმის ამ ყოფაში ჩამგდებთ!

ომოღანთ ნინო იმ ღამესვე გარდაიცვალა ტვინის ანთებით...

ს. კაეშნიშვილი



ჯ. კაცი გიორგი გაჩეჩილაძე (შოკლუძა)



მ ს ი უ ლ ე ბ ი

I. კნუტ ჰამსუნი.

ჩემ სავალ ოთახში, შოთასა და ილიას სუ-
რაიის ქვეშით მხალღი, ბრგე მხარბუკიანი, სს-
თვალეიანი კანის სურათი ჰქოდა; იგი საცარის
დაკორეებით დაიჭირება წინ; კანციფრება ის-
ტეის მის სხსეზე, თითქოს შიშიშოლისა და ტან-
წყისანს თავბებულტეულ კანის ნეცვლად—ბუ-
ნების წაღვლი ზღაზრული, ციდან ჩამოვარდნილი
ბაღლი იუს.

ჴეშმარიტად ჟრიდან ჩამოვარდნილი მწე-
რალი იგი ჩემთვის.

მა არც ვიცი მისა ნამდვილი გვარი.

მე მხოლოდ ჴაბუკობისს მიკეპია მისი
სურნელავანი რომანები: თუ მეოცნებე ურმას სან-
დრო უახტეის სუვარულ შთეში მომწერებისა
წასვლა, იქ რომანტიული ელგუჴასი და შათიას
სამშობლარი ნახვა, ვინაიდან მწეროდა, რომ ისი-
ნი მართლაც ცხვონობდნ, აბრძოდენ თავგან-
წირვით, რადგან მათთვის ბრძოლა სელთვნება
იყო.

მწეროდა, რადგან ჴეშმარიტ, ხელთვანს არ
შეკიდიან არ დაუჯერო.

ჴო და არა ნალები მინდოდა ნორვეგიის ცივ
ფიორდების ნახვა, იმ ადგილების, სადაც ადუ-
მალბობით ზირ-მოკუშმული შორიქული ნალები
იმსხვერზლა ტაღღამ.

სადც ლეჴტინანტ გლანი დიფირამბებს უმ-
ღეროდა შემოქმედს და ტეის ზანის მომჴადო-
ვებულ საღამურზე ნაღვლიანად იდიშებოდა.

ადუშალბობის შორიქული უწეღე ნაღვლს,
და ჴამსუნრც ავი იმავ საცარც ჟინითაა შეჴურ-
ბილი.

მე არ ვიცი იგი ვინ არის, მისი ბოტრა-
ფის კიდურ რომ იუს დაწერილი, არ წავიკითხავ,
არ წავიკითხავ, რადგან არ მიხდა მის სხსეს იდუ-
მალბობის ზირ-მადე ჩამოქსნის ჩემს თვალში.

მე არ ვიცი, იგი სად დაიბადა, სახელდობრ
რომელ სოფელში, რომელ ქალქში, ან როდის
როგორც გვწვევია ხოლმე სუვარულ მწერლების
შესახებ დაშახსოვნება; როდის რას ფიქრობდა,
სად იტნებობდა, რადგან, ვიყოტრები, ხელთ არ
შქთანა არც მისი ბოტრაფია, არც მემუარები, არც
წერბლები შეკობრბისად.

მაგრამ გლანს ვინობ, ვინობ ნაღვლს,
იჴანეს, იენსონს და მე, რასვეირეულოა, მწწამს
ერთხინო ინდენტეობა მწერლასა და გემირს
შორის მწამს, რომ შექსნიანს ძაგლას ძაღლი-
საგან და სორცი სორცისაგან“ არა მარტო ჴამ-
ლეტო, არამედ შეუღლანც—დაის შეუღლანც, ეს
აღამიანის სორცით მოვაჴრე შეუღლანს.—

ვან დიგის სახეს თუ ვეძებთ, მის წმინდა
სუბსტანცის—იჴუნეულ ხატებაში ამოვიკითხავთ.
თავთ ილიას ფიზინომიანს რცაგწავლბობ, ჩვენ
ამისთვის მარტო გლანის ნამშობის ცნობილი
მღელღლის სახე არ გვეუფავა, თვით ლუარსაბისც
ილიას სორცი აჴეს შესხმული, —ეს ზარდაცქის-
დურად მოგწვენოს კეტი ვინმეს, მაგრამ ეს ასეა.

მაშ რაღათ მინდა მე ჴამსუნის ბოტრაფია,
მე შეღამ თან ვატარებ ნაღვლის ფიქრებს.

მე ვინობ მის ტეივადებს, მეც მასთან ში-
ტანჯინა, ცრემლი მიღვინა, უუურბები მისი თვა-
ლები თითქოს რადღანს აკვირდებთან, ეძებენ. ლე-
ჴტინანტ გლანიც განა იმავე დაუცხრომელი ძეპ-
ნის ჟინით არ არის შეჴურობილი—იგოტრენესავით
უგრძანს გაქძრევა და ინდოეთის ტუკებში ეძებს
მისვერზებს.

მაშისოთ ლანდ დაკარგულეკიარსიყო, მასც
სულის შიშობლანს აჴეს დაკარგული.

ლეჴტინანტ გლანი განა შეთაურთი სიღვინი
არ არის...

იგი ბუნების წაღვლი თურება მანის მომხმე-
ღულ სტეირით — უფავლებიას და ბალახების
სუნიო...

იგი თრფობ—მისი ზანტიეჴში—ერთხინარ
კეზელტორ თრტიეჴმდისაც მიდიან.

უნებურად გლანის გახსენებაზე რუბენის
„მთვარელი სიღვინი“ მიდგება თვალ წინ...

რამდენიმე მოჴწრებულად თრფობ ხარვეთი ტუბო-
ბა ახატება მის სხსეზე, მის კარშეშო მომდინა-
რო სახეები ტეის სტეირების, ეს ნამდვილი
ხორც-შესხმული მოხვამეა ბუნების წაღვლი. ეს ის ხე-
ლოვნებაა, რომელიც ისე გათრფობს და ისე გაბრუებს
როგორც თვით სიღვინს ვახის წვენი და გლანს
ტეის ბალახების სუნი—გლანისთვის დრო არ არ-
სებობს დრო, რომელიც ევროპაში იქროთაა შე-
ფასეული შიციბურკეობისაგან. *) მის სუ-
რვი შეჴძრევაა, დაუფიწინი ერთხინარი ეოგულდდა-

*) მდებრი მოქალაქეთაგან.

ური წინადადება—მას რომელიმე ევროპულ სენ-სინიაზე უფრო ის ანტირუსებს, თუ რათ უფლა წინა დამით მისი ძაღვი ტრეზორი.

თუ გვინს ღრმად განიხილოს ტუის შეუდრობას, ზღვის შიდაღს,—იგი არ ნაკლებ ღრმად სწავლება ტანჯვის უფსკრულს,—რადგან ტანჯვით სულის აჩქება, და შეშინება,—ეს ნიშანდობლივი თვისებაა თვით ქაშისუწისა, როგორც კუშმარიტი ხელთახანის. რადგან თუ ქმნილებას ტანჯვით არ ვამბობს შეშინებ-

მედი, იგი ისეთივე უსუსური იქნება, როგორც ის ბავშვი, რომლისთვისაც დედის ძმის ნაცვლად საჭმელი უძლევათ.

ტანჯვას სახელო შეშინებების. და იგია კუშმარიტი ხელთახანი, რომელიც აღამინის სულის ყოველ ტკივილს ჩასწვდება—სულის, რომელიც ისე იღვანება ტანჯვის კონტრე, როგორც „მამა“ ლაგოკონში.

კ. გამსახურდია
(დასასრული იქნება)



ჩემი სამშობლო*)

(კ. ბალმონტს)



აქ კოლხეთი ივერიის გადასწვნია დაღალ-კავად;
აქ როინი მტკვრის ზვირთს იწვევს ს-ცელქოდ და საცეკვაოდ,
აქ სღამო ღვთის სუნთქვას ჰგავს—მთვარის შუქი ამსკირვალებს,—
აქ ერთი ზღვა—მეორესთან გრივ ლს კოქნს დაფალებს!..
აქ რიყრაქზე ცის პორფრი აიკინძავს ვარსკვლავთ ლილებს
ოქროს კდემით აელვებულს და აღერსად ბტეხილებს;
აქ ყვაფილი სათუთ ბაგეს მზის ამბორით ამშრალდენ,
აქ ქალწულნი თვალთა მზერით თვით ამტრებს ამთვრალდენ!
აქ ზეფირი ტრფობის ზღაპარს ორთქლის ფრთებით დაქროლემს,
ხან თვლს თვალსა შე მსკვალავს, ხან გულს გულთან გააბრძოლებს...
აქ ჩანჩქერი ფოლადის კლდეს ბროლის გველად ეგრიხება,
აქ ნიაფი ვერხვის ფოილებს სიზმრის განცდას ეკითხება!
აქ მალალ მთის თეთრ კვარცხლბეკზე—სილამაზის წარმომშობელს,
სერაპიმნი ხმა შეწყობით უღერიან სავლობელს!—
აქ დაინთო ღმერთის ცეცხლი—ამირანის მონატანი,
შოთას სიმრე აქ შეირხა, აქ დაირწო მის აკვანი
და ეს ჩემი სამშობლოა... ღობილია მზის ექსტაზის!—
—და შენ, უცხო მზის სტუმარო, შენ, ქურუმო სილამაზის!—
თუ მის სულის საიდუმლოს მისებურად ამოიკნობ,
თუ მის ღამი—ღმილს მოგვგრის და მის წყლულით ტკივილს იგრძნობ.
თუ ის შენში წრფელ გრძობიან თვის მომღერალს დაიფულებს,
სილამს გიძღვის მოწიწებით და მადლობის თაიფულებს!..

ს. ვაჟა-ფშაველას ხელმოწერა

*) ეს ლექსი ავტორმა წაიკითხა ქართ.-კულტ. მოკვ. საზოგადოების მიერ კ. ბალმონტის პატივსაცემლად გამართულ საღამოზე, 9 დეკ., რამაც დიდი აღტაცება გამოიწვია.



ბედი ქართლისა

ისტორიული ქრონიკა 4 სურათად

თხზულება

კონსტანტინე დიმიტრის ძე უიფიანისა.

მომკვდნი:

1. **დარეჯან**, საქართველოს დედოფალი, ქროგი მეფე ერეკლე შუარისა.
2. **გიორგი მე-XII-ე**, საქართველოს მეფე.
3. **მარიამი**, საქართველოს დედოფალი, გიორგი მეფის მეუღლე.
4. **დავით ბატონიშვილი**, გიორგი მეფის სამეფო ტახტის მემკვიდრე.
5. **ბატონიშვილი ჯიბრაილ**, გიორგი მეფის ძე, შვირე-წლოვანი.
6. **ბატონიშვილი თამარ**, გიორგი მეფის ასული, შვირე-წლოვანი.
7. **კოვალენსკი**, რუსთა ხელმწიფის სწმუნებულო, ექსიანი.
8. **ლაზარევი**, რუსთა ჯარის ლეწურა-მათი.
9. **სუროკოვი**, რუსთა ჯარის კაპიტანი.
10. **თავადი ოთარ ამილახოვი**, გიორგი მეფის ქეშიკი, დახლოებული პირი.
11. **თავადი ბაგრატ ციციშვილი**, მარიამ დედოფლის ბიძაშვილი, გიორგი მეფის ქეშიკი.
12. **ჰაჯი-იბრაჰიმ-ხანი**, სწარსეთის შაჰი ბაბა ხნის ულხი.
13. **რუსეთის ჩინოვნიკი**, კოვალენსკის ხელქვეითი.
14. **ქართველი ბერი**, მოხუცი.
15. **მხეხათუნ**, მარიამ დედოფლის გამდალი, ბებერი.
16. **გლეხი**, მარიამ დედოფლის ახალგაზდა მსახური.
17. **ორი მოქალაქე**.
18. **ორივე დედოფლის ქალთა** ამაღა: ქქესი ქალი.
19. **ჰაჯი-იბრაჰიმ-ხანის ამაღა**:—თახი სწარისი.

20. **მეფე გიორგის თორმეტნი ქეშიკნი**, აწნაურნი.

21. **ქართველნი თავადნი**, ოცი კაცი. მათში წარწინებულნი: ერეკლე, ზაზა, გედუას, ანჩილ, იოსებ, ტატო, ნანაკა, ბეჭლარ, გაუა და ნიკოლაზ. მათში: ერეკლე, ზაზა, გედუას და ანჩილ—მოხუცნი; სხვანი ახალგაზრდანი.

22. **რუსთა ჯარის ორმოცი კაცი**.

23. **ქართველთა ხალხი**: გლეხნი, ღებულებნი, ორმოცი-და-ათნი.

მოქმედება სწარმოებს ქადაქს თბილისში 1801 და 1802 წლებში. **შენიშვნა**: მოქმედებით დახსიათება და ჩამოშობა იხ. ბოლოზე.

სურათი პირველი

(**ცენა**: სამეფო სასახლის სანადირო დარბაზი.)

ოთარ ამილახოვი და **ბაგრატ ციციშვილი** (დახლოებული გამდანი შუა—თაღანი კარნი)

ბაგრატ (თახის მოწყობილობის ათვისებულებს) ოპო!.. რა კარბა მოუწყევა ვილაცხეს ოთახი სტუმართა მისილებად!.. უბე!.. იარალს უყურე, რამდენი იარალი ჩამოუკიდნია!.. მეცოტავება კი როგორც... ამას სტუმარი რომ შეგხედვენ, იტიკრებენ, რომ ჩვენც ცოტანი ვყოფილვართ!.. მაგრამ ენლა რა დროს სტუმრობა, როცა ყველგან არეულება და უწყესობა მსუფვეს.

ოთარ. შენ სულ არეულებაზე და უწყესობაზე ლაპარაკობ. მერწმუნე, მეოთხე თავი მომბებურე! განა ვერა მხედავ, რომ ყოველივეს უკეთესობა ეტუობა? ჩვენი მეფე გიორგი ბრძნულად განაგებს სამეფოს და...

ბაგრატ. ბრძნულად!.. დიას! რაღა თქმა უნდა, ბრძნული განგება, რომ სამეფოს



გადაცემას აპირებს სხვის ხელში... ერეკლე მეფესაც უნდოდა საცოდავი საქართველოს გადაცემა რუსთა მეფის ხელში, მაგრამ არ დასცალდა, ვერ მოესწრო იმ დროს... ვგონებ, რომ ვერც გიორგი მეფე მოესწრობა. აი გავასწავლებდი ჩემი სიტყვა, ბატონო ოთარ, რომ მეფე გიორგიც ვერ იცოცხლებს მანამდისინ და დაუშლიან კიდევ წაიღიის აღსრულებას.

ოთარ. დაუშლიან? მერე ვინ დაუშლის (დაცხენით) შენ ხომ არ აპირებ? გიორგის დედინაცვალი ხომ არ არა, დარეჯან დედოფალი?

ბაგრატ. დიახ, ვგონებ, რომ დიდს წინააღმდეგობას გაუწევს!

ოთარ. მაშ არა და, რადესაც ოსმალებს სულთნისაკენ იწევს!

ბაგრატ. ვგ ტყუილია, ძმაო ტყუილი!

ოთარ. ტყუილი კი არა, მართალია! დარეჯან დედოფლის შეუქმნულება ხომ გამოავსკარავდა. ახლა ხომ შერისხულია დედოფალი; იმის მიუხედავად, რომ ჯერჯ. რომით აქვს, ამ სასახლეში სცხოვრობს და სცხოვრობს გიორგი მეფის დარაჯთა მხვერაობის ქვეშ.

ბაგრატ. (სიტყვის გაწვევების) რა ვუყოთ მერე, რომ დარაჯი უშვებს!.. შერიხსულიაო, შენა ბრძანებ?.. დარეჯან დედოფალი სრულ თავისუფალი თავის მოქმედებაში, მაგრამ ამას კი ვიტყვი, რომ გიორგი მეფე მეტად უსამართლოდ ეკიდება დედოფალს.

ოთარ როგორ?.. თავისუფალია თავის მოქმედებაში? მაშ, რასაც კი მოსურვებს, ყველაფერს ჩაიდნის არა? არა, ძმაო, ახლა თავისუფლად მოქმედება დედოფალს არ შეუძლიან! რამდენი ვაი-ვაგლახი დავვატეხა თავს და რამდენი უსიამოვნება მოგვაცყენა, შენ განა არ იცა? დედოფალი და გიორგი გამწვარებულნი ებრძვიან ურთი-ერთსაჲს! შენის აზრით მეფე უსამართლოდ ეკიდება? რას ამბობ? მე რომ იმის ალაგას ვაყო, დედოფალს სრულიად დავითხოვდი აქედან, ანუ ციხეში შევაცყენებდი და იქ ყოფნის ნებას-კი არ მივსცემდი, მეფესთან ერთ კერ ქვეშ! აი დილაღე მცირედ ხანს და მწახავ რაც მოხდება.

ბაგრატ. რა უნდა მოხდეს?.. რა.. ჩვენი სწული მეფე მოიშორებს დედოფალს თა-

ვიდან, რომელიმე სოფელს გაჰგზავნის საცხოვრებლად, წავა და მერე ოსმალო სულთანს ესტუმრება და ისიც ხელს მოუწყობს.

ოთარ. რაო?.. სულთანი ხელს მოუწყობს? აბა ვნახოთ ერთი, როგორც მოუწყობს ხელს?.. შენ, ჩემო ძმაო, ვხვდავ, დარეჯან დედოფლის მომხრე ყოფილხარ. ფრთხილად, იყავ, ფრთხილად, გიორგი მეფე გულფიცხი კაციო.

ბაგრატ იმის გულ-ფაცხოვასთან მე რა ხელი მაქვს! მე მართალს მოგახსენებ! რაო, თავს მომკვებავს თუ რა არის?

ოთარ. მოგკვებავს კიდევ, თუ მაგის ღირსი ვახდები! ფრთხილად იყავ, მეუპი, გირჩევ.. აი საცაო გამობრძანდება აქ მეფე, რუსთა ვეზირი კავალენსკისთან და თავისი მემკვიდრე ბატონიშვილი დავითიც ეახლება, თუ შეგიტყვებს, რომ დარეჯან დედოფლის მომხრე ყოფილხარ, მაშინ უყურებ, თუ რა დაგემართება.

ბაგრატ. რა არის, კაცო, რომ იმუქრები ერთი სწორედ სათქვი და!..

ოთარ. სწორედ გინდა? მაშ, ყური მიგდე! რუსთა იმპერატორი, პავლე პირველი, თანახმა არის შეუერთოს რუსეთს საქართველო და უკუნიითი-უკუნიისამდე მფარველობა გაუწიოს ჩვენი მეფე გიორგის და მის ჩამომავალთ. ამიტომაც იმპერატორმა გამოგვიგზავნა თავისი რწმუნებული ვეზირი კავალენსკი, რათა რიგზე მოაწყოს საქური მმართველობა, მოსპოს სხვა და სხვა უწყსობება, დააკმაყოფილოს ჩვენი ბატონიშვილები, რომელნიც მეტად შფოთვენ. გიორგის მემკვიდრეთ იმპერატორმა დაამტკიცა ძე მისი, ბატონიშვილი დავითი და მის და პატივსაცემლად უბოძა დენერლობა და სხვა და სხვა ორდენებით დააჯილდოვა. აბა, ერთი, შეპხედე დავითს, რა რიგად უხდება დენერლის ჩაცმულობა! ხვალ თბილისს მოველით რუსის ახალს პოლკსა, სპარსეთის შაჰის ბაზახანისაგან საქართველოს დახსნისათვის განა ამ ამბისა შენ არა იცოდ რა?

ზარა. მე ვგონა, რომ შენ მართლა რასმეს ახალს ამბავს მეტყუილი, — ეგრაცა ბრძანებ, ყველფერი კარგა ხანია რაც ვიცი. შენ

რაც გინდა სტევი, მე კი მიინც ვიტყვი, რომ გიორგი მეფე უსამართლოდ ეკიდება თავის დედინაცვალს და ღმერთიც მაგას არ აპატივებს.

ოთარ. სუს! ჩემუდ! ეილაკ მოდის...

ბაგრატ. (აქეთ-აქით ახედება) არავინ არის... რა სუს და ჩემუდ! რასა ბრძანებ! სანამ მე ცოცხალი ვარ, მიინც ვიტყვი, რომ გიორგი მეფე უსამართლოდ ეკიდება დარეჯან დედოფალს. იმის დაუთხოვად, გიორგიმ რუსის მხარე დაიპირა და ორივე დედოფალი კი ამის წინააღმდეგნი არიან. დარეჯან დედოფალს ზავის შეეკრა უნდოდა ოსმალთ სულთანთან, რომელსაც სპარსთა შაჰი სძულს და მზად არის მტერად აქციოს. რუსთა ხელმწიფემ რა ჰქმნა? ერთი პოლკი გამოგვიგზავნა და ხელ კიდევ მეორე პოლკი შემოვა ჩვენსა. — ორი პოლკი ბაბა-ხანის 50 ათასი მეთომართა წინააღმდეგ!... კატა — ლომთან!

ოთარ. იცი რას გეტყვი? აგრე ძლიერ რომ არ მიყვარდე, გინეწებდი როგორც უნდა ენის ლაქლაქი! რა ჩვენი საქმეა ამხე სჯა და ბასი, გვიჯობს დავემორჩილოთ ჩვენი მეფის სურვილს, რომელსაც ჩვენთვის კეთილი უნდა და სხვა აზარა. მაგრამ, კკუსას აღას ნუ ატან, გააუბდი, თორემ, ხომ იცი, ახლა ჯამუში და დამსმენი აქ ბევრია, ყურს მოჰკერენ ჩვენ სიტყვებს და დავაბეზღებენ... უყურე, აქეთკენ მოდიან...

II

აგინავე და დარეჯან დედოფალი, თასკისის ქალთა ამალით თადან კარებიდან შემოდის. დარეჯანი მოდის წყნარის, შედიდურის ნაშავით. შავსა საშუათ ტახტთან და რომ პარფედს საფეხურზე შესდგება, შექერდება თათრის ხმის გაკრახებაზე სადაც დარეჯანი იქნება, ამაღან თან მიჰყვება. თათრის და ბაგრატი მძიმედ მიეკიდებიან.

ოთარ. დედოფალი, ბრწყინვალე! გავკანდიერდები და მოგახსენებ მეფე გიორგის ბრძანებას, რომ შენ უნდა დაბრძანდე იგი იმ საეარქელზე. (უხეხებს მარჯვენა მჯგარს სავარქელს, საშუათ ტახტის პარდაში)

დარეჯანი (ამათ საღამუზე თანავ დაქიქეს თავს შექსედავს თათრს შედიდურად და მქანდად.

შეგრედ ხანს სიხუშა.) ოჰ, რა ცვალებადია დრო და ჟამი და ბედი ადამიანისა!.. მე... დედოფალს, მიჩვენებენ იქ დაბრძანებას, სადაც ჩემი ადგილი არ არის!.. მაგრამ... მაღალი ღმერთო, შენ მოჰხედე ჩემს მწუხარებას... უნდა ავიტანო ყოველი უსამართლობა! (ჩამოვა საფეხურიდან) ოთარ ამილახრო! სად მიბრძანებ დაბრძანებას?

ოთარ. ბრძანებას როგორ გავიბედავ, დედოფალი, მე მხოლოდ ვკანდიერდები, მოგახსენებ მეფის ბრძანებას, რომელმანც თვითონ დაკინიშნა შენი ადგილი...

დარეჯან. მეფის ბრძანებ!.. დამინიშნა ჩემი ადგილი!.. ოჰ, ოჰ! (ჩამოხედება აქ, სადაც თათრის უხეხებს) .. დიახ, ცვალებადია ადამიანთა ბედი!.. მე რომ გიორგის დედა ვყოფილიყავ, ამისთანა დამცირებას ვერ გაზიბებდავ და ჩემი ადგილის მითითებასაც!.. მაგრამ, რა დავწყობა, იყვეს ნება ღვთის! (სიხუშე) ბაგრატი ციცივილო! ოსმალთ სულთანზედ ახალი რამ ხომ არა იცი რა? (ამოხედებს ჯიბიდან ქარვის კრიალსანს და ხელში ათამშებს)

ბაგრატი. ახალი არა ვიცი რა, დედოფალი! სულთანის დახმარებაზე ახლა, სჯომიან, აღარა ვფიქრობ რა, იმიტომ რომ შენი ელჩნი, მეფის ბრძანებით, პატიმარს არიან, ყველაფერი დაწვრილებით მოხსენდა მეფეს და ახლა

დარეჯან. ჩემი ელჩნი სად არიან?

ბაგრატი. მეტეხის (იხეშე, დედოფალი!

დარეჯან. ახლავე განათავისუფლონ!

ბაგრატი. ჩვენ არ ძალ-გვიძს იმათი განთავისუფლება, დედოფალი!

ოთარ. ოთარ ამილახრო!.. ჩემი სურვილია — ელჩთა ჩემთა თავისუფლობა

ოთარ. დედოფალი! იმათი თავისუფლობა მეფეზედ არის დამოკიდებული, მაგრამ არ იზამს მაგას, რადგან იმის უდასტუროთ და მიილულად იყვნენ გაგზავნილნი სულთანთან და ახლა, რუსთა იმპერატორების შეფარველობას ტვირთულობს, სულთანთან ყოველი კავშირი და დამოკიდებულება მოსპო და სპარსეთის შაჰი ბაბა-ხანთან ერთად, რუსთა ჯარების დახმარებით, შეტბორილებას აპირებს ოსმალთთან.

ღარეჯან. ეგ ამბავი შეწყინა!.. შებრძო-
ლობას აპირობს. ვენ ამბობ?.. ჰო, რამდენი
სისხლი დანთხვია კიდევ! უბედურო ჩემო
ქვეყნავ! როდის მოისვენებ სისხლის ნთხვი-
საგან და შენთა შვილთა ურთი-ერთის უთან-
ხმოებისაგან? ...ოთარ! მითხარი ერთი, რა ამ-
ბებია ახალი ჩვენს უბედურს საქართველოში?

ქ. ყიფიანი

(გაგრძელება იქნება)

ვინ არის?



სიკო ილიაშვილი

ქ. ბაღმონტის მატეოსტყველად გამართულ
საღამოზე საზოგადოების დიდი უურადლება მი-
იწერო სახლგანდა მკაონამ ს. ფაშალიშვილმა
თვისი ლექსების წარმოთქმით. ბევრნი კითხუ-
ლობდნენ, ვინ არის ეს ნაცოედი ახალგაზრდა?
უსარკებლობთ შემთხვევით და აქვე მოგვყავს
მოკლე რწიანი მის შესახებ. მით უმეტეს, რომ
ამ სახლგანდას მადლი მიზანი დაუსახავს.

სიკო ფაშალიშვილი სოფელელი გლეხის
შვილია, დაიბ. ს. ქვემო-მანხანში (ქიხიუს),
უფროსი და უმინარსო სიბავშვე სოფელსა
და მინდორში გაატარა ძროხების მოვლა-შესრუ-
ლობაში. ათი-თერთმეტის წლისა შემთხვევით მო-
ჭყდა სოფლის სკოლაში და აწინა შეისწავლა:
რავდენიმე კვირის განმავლობაში მიიღერო მას-
წავლელის უურადლება თავის მახვალ-გონიერე-
ბით, მაგრამ სოფლის სკოლის გათავებაც არ
დაცალეს და უუღმართმა მდგომარეობამ მის-
წვეიტა იგი სანატრელ საგანს: მიგრადწეუბით

სკოლას ჩამოშორებული მისამსახურეობას და
ნაქრობაში წამოასრდა, მაგრამ თავისუფალ
წუთებს წიგნების კითხვის ანდომება და ხარ-
ბად ეწვეთადა დიტრატურას, თუმცა წიგნების
კითხვისას-კი უშლიდნენ. თვით განკითხების
წუერეობით შეპრობალო, დიდის მეტადინეობით,
ჩამოვად თბილისს, აქ მირეკ სამუშაო იშოვნა
და მწერლობას შეუდგა. პირველი ლექსი გაზეთ-
ში დაუბეჭდეს 1910 წ. და მას შემდეგ გამუღ-
შებით ათხვებს ლექსებს უგულა ქართულ სერ-
იზულ გამოცემაში. სკოლის ელფეთით მისილი
მისი უთველი ლექსი ფაქიზ აზროვანია, ღამა-
ზი, ოსტატურად გამოკვეთილი და ღრმად გან-
რდილი.

ს. ფაშალიშვილი კვლავ განატრობს მეტ-
დინეობს და უმადლეს სასწავლებლისკენ უტრავს
თვლი, მაგრამ, როგორც ჩვეულებრივ ეგვლა
ქართულ მწერალს, მასაც ხელმოკლეობა სიმძი-
მედ აწევს კისერზე და უთველ მხრე უშლის
რელს; ჩვენს საზოგადოება-კი, რასაკვირველია,
ასრად არ მოსდის უურადლება მიაცეიოს ამ ემა-
წვილს, შესაფერი დახმარება ადლოწინის სა-
სარკებლო მისწრაფებაში. თუ ფაშალიშვილს ჩვე-
ულებრივმა ქართველურმა უუურადლებობამ და
კატუნლობამ არ მოუკლა სურვილი და გზა არ
დაუსწო, თუ საზოგადოებამ მას დახმარების ხე-
ლი გაუწოდა და საშუალება მისცა სურვილის
შესრულებისა, ფაშალიშვილისგან ჩვენ ბერს მო-
ველით.

უმჯობესია ადრევე ვიზრუნოთ ნიჭიერ და
მრავალ იმედის მომევემ სახლგანდას განსაკითა-
რებლად, რომ მომავალში უკეთესი ნაყოფი გა-
მოვადლებინათ.

ი—ელი

მაშუდინთვის..

თუმცა წუთები ამა სიკოცხლის
მახილი არის ჩემი გულისა,
მაგრამ ჯერ მიინც არ ვარ საგანი
მე უმინშენლო სიბრაულისა.

მართალი არის, სატრფო-სიკოცხლიემ
მომიკლა რწმენა და სიყვარული,
მაგრამ ნუ გჯერათ, რომ გულში მოკვლა
სიკოცხლის ჰანგი, ჰანგი ფარული..

არ გამოთენდეს მშვენების დილა,
 მარად სატრფოსთვის ვიყო მწუხარე,
 აღარც მიზილოს სამშობლო მიწამ,
 მილიოდს საწყაისს კრემლი მღულარე,—
 თუ მამულისთვის არ მოგვედგე ტკიბილად,
 თუ არ ჩაივდე ღიმილით საფლავს,
 მხოლოდ ცაზე-ვი ხელავდენ მარად
 ტანჯული ერის ბედისა ვარსკვლავს...

ი. დაროშვილი.

ღ ი ქ ც ი ა

გ ა მ ო თ ქ მ ა

(გაგრძელება. იხ. „თ. და ცხ.“ № 41)

განდა იმისა, რომ ტკიბლათ და შეაფიით
 არის საჭირო გამოთქმა, სწორედაც უნდა ვი-
 ლაპარაკოთ. მაგალითად, ძალაღან ხშირად ამბო-
 ბენ მართა, მამეცი და სხვა, მოიბა და მომე-
 ტი-ს მაგვრათ, სიტყვა არის მომეცი, მოიტა
 და სხვა. ესე ონ-ს მაგვრათ ან-ს კახელები
 და ნამეტანვად ხეყსურები ხმარობენ, ასე რომ
 თუ მისხიათ ამ ერთ-ერთ ტიპსა თამაშას, მა-
 შინ საჭიროა ონ-ს მაგვრათ ან-ი გამოთქვას.

თუ, როგორც უნდა გამოთქმა თვითვედ ასოს,
 ამას საბა-სულხან ორბელიანი გვასწავლის: *)
 „ქართული ირმობანი ასონი განიყოფიან
 შვიდად: კმოვანად ნანარად, ბატუთად, ენის მწვერ-
 ვლად, საშუალო ენისა და კორეთა შინა, ხო-
 ლო შეიგადე—ნახევარ ბაკეთა შიერ მოხრით—
 ნესტეებ; ამისთვის, რამეთუ არიან ასონი, რე-
 მელნი ბაკეთა შიერ ითქვას და რომელიმე ენი-
 სს მწვერვლად, რომელიმე საშუალო ენითა და
 რომელიმე—კორეთა სიტვის შიერთებისა და კ-
 რითათა გამოთქმისათვის, რამეთუ არიან სიტყვა-
 ნი შიდად: ან არიან ზომიერნი და არიან შიდა-
 ბადნი ამისთვის არს შვიდად განყოფა ასოთა
 მათ. რამეთუ კვიანი ასონი არიან ხუთნი; ესე-
 ნი: ა ე ი ო უ.

ესენი არიან, რომელთაცან გამოავლენ ხმა-
 ნი საშუალონი, საშუალონი და საგალობელ-
 ნი, თვინიერ ამისა არს არს კმათ გინა მუსი-
 კობა, გინა სიტყვაჲ ამა ან-ს ენ-ს და ონ-სა
 ბაკე აშუბით უნდა თქმა **). ხოლო ან-სა მცი-

რედ ენისა ოდნე განძრევა და უნ-სა ბაკე
 ნესტეებ მოხრით თქმა.

ხოლო ხუთნი ესე ასონი განიყოფიან ხა-
 მად: მაღალ, ზომიერად და დაბალად. მაღალ
 არს: ა, ე, ზომიერ არს—ი ხოლო მცირედ, უმ-
 დაბლესი ამთ შიდას ხ, უ

ხოლო ბაკეთა მცირე სიტყმელნი ასონი
 არიან ოთხნი, ესენი: ბ, მ, პ, ფ.

ესენიც განიყოფიან სამად: მეტი არის
 პ, ზომიერი არს ბ, ხოლო ნაკლები არს მ, ფ.

ხოლო ენის წვერვლიანი ასონი არიან
 შეთერთმეტნი, ესენი: დ, ზ, თ, ლ, ნ, რ, ხ,
 ტ, ც, ძ, წ.

ესენიც განიყოფიან სამად. მეტი არს
 ზ, რ, ტ, ც, ძ, წ. ზომიერი: დ, ნ, ხ და ნაკ-
 ლები თ, ლ.

ხოლო საშუა ენათსა—არიან ექვსნი, ესე:
 გ, ქ, დ, რ, ხ, ჯ.

ესენიც განიყოფიან სამად. მეტი არის
 ჯ. ზომიერი: გ, რ, ხ, და ნაკლები: ქ, ლ.

ხოლო კორეთა შინა სიტყმელნი ასონი არი-
 ან სამნი, ესენი: ყ, კ, ჰ.

ესენიც განიყოფიან სამად. მაგარი არს
 კ, საშუალო კ და დაბალი არს ჰ; ხოლო ნახე-
 ვარ ბაკეთა მცირე მოხრით ნესტეებ ძვრით არიან
 ასონი ცხრანი, ესენი: ვ, ჰ, ა, უ, შ, ჭ, ჰ,
 ფ, ძ.

ესენიც განიყოფიან სამად. მაგარი არს
 ვ, უ, შ, ჭ; ჩუალი ვ, ძ, დაბალი ჰ, ა, უ. ა
 ი დიქვის შესანიშნავი გაკეთაილი.

რად შეიკება სიტყვების გამოთქმისა შინს
 ამაღლებს, ამაზე ბ. ს. რ. გორგაძეს დაველიო-
 ხით. ეს დადელი, მახვილი, მთლიანთ ამოწე-
 რეთ მოხსენებულ ავტორის ფრად საყურადღე-
 ბო შრომიდან სთაურთი, „ქართული წყობილ-
 სიტყვაობა“ და აქვე არ შეგვიძლიან მისხიათს
 არ ვურჩით ამ შრომის ეურადღებით წაითხვა.
 ქართ. წყობილსიტყვაობა დაბეჭდეს „გორღემლ-
 ში“ № 1, 1912 წელს. აი რასა ბრძანებს ზე-
 ტივემული ავტორი:

„უტკველია, დღესაც ბუერი მთაბრუნება იხე-
 თა ქართული, რომელსაც ჭეჭნია, ვითომც წუნს
 ენას მახვილი, ანუ ხმის ამაღლება სიტყვის რე-
 მელსამე მარცვალზე, არა ჰქონდეს. მაგრამ, რო-
 გორც ხალავე დაეინახუთ, ეს აზრი შესაქნარე-
 ბელი არ არის. მართლაც, ქართული მახვილი

*) იხილე საბა-სულხან ორბელიანის ქართული
 ლექსიკონის წინასიტყვაობა.
 **) კურსივი ყველგან ჩვენი.



ისეთი მკვხე არ არის, როგორც ზოგიერთს ეგონებოდა ენას სწავლა, მაგრამ ზომიერა ზმის ამაღლებას ქართულ სიტყვებშიაღ სწავლობს. მაგალითად, რიგს ქვემოთ აღნიშნულ სიტყვებს დააღვრავს წარმოადგენს, ეთქვამის ვაშლი: მამული, გადაშენება და არა მამული, გადაშენება, არც მამული, გადაშენება, კინა გადაშენება, გადაშენება.

საკმაოა, ამგვარად შეგვივლით აღნიშნული სიტყვები და ამჟამად დაურწმუნდებით, რომ მახვილი ქართულ ენასაც აქვს და მასთან ავი განსხვავდეთ წესს ემოჩინება.

გიორგი ჯაბადარი.

(გაგრძელება იქნება)

ქართული სახიობა

სახალხო სახლში წრემ შეიკრიბა, 10/X, წარმოადგინა ტ: რამიშვილის სოციალური პიესა „მეზობლები“. რომელსაც აუ რეჟისორი ხალხი დაესწრო. ამ პიესაში ხალხი პიესის თვის ვიყავს და კიდევ დიდხანს ისაზრდებოდა მისით. იუ შესაფერად იქნება განსახიობების დღეს. ასეც იყო ზღოვანებში, რომ მეტყველებდა და მხატვრობა უმოაგრესია, ეს არა ნაკლებ უწყის წრის რეჟისორმა კ. შათირიშვილმა და ამიტომ გვეცვირს, რ.ტომ მეტისა ყურადღებით არ მოეპყრო მენაბდიშვილის, გელოვანისა და ტაისის როლებში აღმასრულებელს. სხვათაგან პიესა საუცხოვოდ იყო დაღმეული, განსაკუთრებით პირველი და უკანასკნელი მოქმედებაში. მესამე მოქმედებაში ტყის უკანა დეკორაციის უშვილ გამოჰატობდა ლამისის შუქი. ნ. გომილიძის გრუშვესის როლი ისე შეუხისხლ-ბორკილია, რომ ვერ ატყობთ, რომელი-რომელს „სიამაშობს“—გრუშვესის გაციობდეს თუ გაციობდეს გრუშვესის: აი მხატვრული-დეკორირ სრულ ქნა ხატების, შეგნებთ სულ-ბორკის შესწმა. ვ. ნინიძე ნამდვილი ლუკა სუთიძეა, ეს გლგნთა წრიდან გამოსული—გაახანურებულა, სულით მისინჯი; უჯობდა, I მოქმედებაში არ გადადებდა. უკეთესი იყო ბოლო მოქმედებაში. დამსახურებულმა მსახიობ-ქალმა ელ. ჩერქეზიშვილმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რ ს ნიშნავს გამოცდილი და ნიჭიერი ზღოვანი: თელწინ დაგვიყენა ნამდვილი შიკა. ტ. პიერტა (ოლინკა) და შ. გომელაურა (ხოსიკო) შეგნებთ ასრულებდნ ნაყის როლებს, მაგრამ შესაფერო ყმაწვილური გულწრფელობა აკლდათ და პირველი უფრო მძიმე იყო. ან. კიქოძე (ქნ. კატა) წამბატების გზაზე, თვისი როლის ბევრი ადგილი საოცარი სინაზღილით ჩაატარა: ი. მინდიშვილმა (ირაკლი) შარშანდელთან შედარებით წინ წაიწია: სულიერი ვითარება და გარეგნობა ერთო შეორეს შექაოსა

და სრულის განკლით მიუღდა სინაზღილის სახლვარს. ს. რომანიშვილი-დგებუძისა რეჟისორად გარეგნულად იყო მოზღნული, იმდენად შინაგანი, სულიერი აღბორგების გადმოცემაში მოისუსტებდა: თითქო როლს სახე დახლოოდ სრულებს, არა რწმენითა. დ. ბაქრაძე რომბურტის ღირსეული აღმსრულებელი. დამსახურებულმა სცენის მოყვარემ გ. ჯაბაბაძემ ვერ შეძლო ილ. მენაბდიშვილის განსწორება და სრულის ჩადგმა: ვერ იქნა და—ჯაბაბაძე და მენაბდიშვილმა ხელისხელს ვერ მისცეს, სული სულს ვერ აზიარეს. მენაბდიშვილი-კი პიესის ღრბითა, იგი უნდა აკონკრეტდეს მიუღ პიესას. პატივცემული სცენის მოყვარე-კი თითქო გავმა მხრიდან იძახის სიტყვებსო, ერთმნით, თითქმის სიმღერით. ერთკლოვანება, ერთნიერი მიმთხვარე-კი ხელოვნება არ იქნება. ასეთად ვინც იყო ბ. ასათიანი (ტაისი), რომელიც როლს ვერ ენათესავებოდა. სულს ვერ უღვავდა. ს. მენაბდიშვილს ვერ ვეღვანობის როლი, თითქო სულსა და გულშიაც ჩასტყვნიდა, შვიკა და შვიკა მისაჰნიცი იყო, მაგრამ გარეგნულად ნაყელ მიუთარაკრატს გამოხატავდა, არც როლი იკლდა: ამ სცენის მოყვარემ (და სხვამაც) კარგად უნდა იცოდეს, რომ სცენას ათასი ყური უსმენს და უხამსად ნამბორი სიტყვა-კი შენავეს მსმენელს (მაგ. როდესაც ტაისი „ჩემი კარგი“ „კარგო“-ს მაგიერ, „ქართულებს გასაქართულებლად“ უნდა ეთქვა „გასართულებლად“—თუ დღევანდელ „ქართულ ენაზე“ გულისხმობდა, სხვა. —ა. ს.ს.) კ. სვანდელს აღბად დაეწევებოდა, რომ მოლოოდ ახალუხის ჩაცმა ვერ გამოხატავს ტაის. მართალია, მკითვ როლს ასრულებდა, მაგრამ ყურადღებით უნდა მოეპყრობოდა. კარგს ინებებენ ჩვენი უანგარო სცენის მოყვარე, რომ მოკარნახვს ნაყელ შრომას ავიკრებდენ, თორემ რას ვავს: ხსენებულ ღამესაც მ. თუშნაღიშვილს „ფურცელი“ კარგა მანილუხ ისმოდა...

სამშაბათს, 13/X ამავე წრემ წარმოადგინა „საგანის“ კარგ გინანავს-ველარ ნახაე“. ამ პიესის დღევანში ნაღლად სინანა რეჟისორის მამლიანი ზელი, პიესა კობტალ ჩაატარეს.

უსავანი

კ. დ. ბალმონტის პატივსაცემლად ქართ. კულტურის მოყვ. სახ-ის მიერ გამართულმა საღამომ 9/X „არტისტ“-ს. თეატრის“ საკონცერტო დაბან-ში ბლომ საზოგადოებრივ მოზიხად, განსაკუთრებით მოზარდი თაობა. კ. ბალმონტის შემოსვლას საზოგადოება ტაშით შეეგება. ქ. კ. ს. თაგმჯდ. გ. კორდანიამ ქართულ-რუსული მკითვ სიტყვით ამწნო საზოგადოებას, რომ საზღვარგაშემუღმა მგოსანმა კ. დ. ბალმონტმა რუსულად გადასთარგმნა ჩვენი განძი „ვეფ. ტყ.“, დღეს დრო არ არის, ამ თაობის კრიტიკულად შეგნებთ, მხოლოდ ასეთი საპატიო შრომისთვის ქართ. კულტ. სახ-ის საპატიო წევრად ვირჩევთო. ამ განცხადებას დამსწრენი ტაშით შეეგებნ. ბ-მა პეტრაკოვსკიმ წაიკითხა ბალმონტის შემოქმედ-



ბის დახასიათება. ახალგაზდა შგოსანმა ს. აბაშელი კ. ბალმონტს მიესალმა საკუთარი რუსული ლექსით. კ. ბალმონტმა წაიკითხა „ვეფ. ტყ.“ თარგმანის ნაწილი, რამაც წინანდელზე უკეთესი შთაბეჭდილება მოახდინა. მეორე განყოფილებაში ქართველმა მგონებმა ს. ფაშალიშვილმა, ი. გრიშაშვილმა და გ. ქერიშვილმა წაიკითხეს საკუთარი ლექსები, რომელთაც საზოგადოება უნდოდა აღტაცებით შეეგება, განსაკუთრებით ს. ფაშალიშვილს „ჩემი სამშობლო“-ს წარმოთქმის გამო (ამ ნომერშია დაბეჭდილი). კ. ბალმონტი გაოცებულ-აღტაცებული იყო—იმ ზეიბით, ფაშალიშვილის რთ აღმოუჩინეს. თვით კ. ბალმონტმა წაიკითხა საკუთარი ლექსები, რის გამოც საზოგადოებამ ტაშით დააჯილდოვა. მესამე განყოფილებაში მ. კავსაძის გუნდმა, ქულაჯებში გამოწყობილმა, რამდენიმე ქართული პანკრი იმღერა (მათში—ორი უცხო). სამწუხაროდ, გუნდმა თავის თავს უმჯობესად და ისეთი არ იყო, წინააღმდეგ გვიანხანავს. მ. კავსაძე დიდ საქმეს—ეროვნულ სიმღერების გავრცელებას ემსახურება და ასე აბუჩად არ უნდა მოვიდოს, მით უმეტეს კულტურულ დღესასწაულზე, უცხოთა წინაშე. „პროვალკამიერი“ იმე იმ-ლურეს, თითქო ნადღესასწაული—ნაბახურევი მოქიეფნი შეყრილან და უთავბოლოდ მღერაინან... ვერც ის გაგვიგონა—ნეტა ჩვენმა ტანწერწერტა გლეხმა გის რა დალუშავა, რომ პამაულასტინი ამუწმნელებერ ხილმე, — შიგ და შიგ თუ მოიპოვებან ასეთი საშარტო მოტამაშენი, ტაიორად ხომ არ ჩაიფლებან. ბ. მ. კავსაძეს გულწრფელად ურჩევთ, უფრო მეტიც პატეო მთავარს რაგორც თავის საქმეს იხერც, საზოგადოებას. ვერც მესტიერე იყო შესაფერი. საღამოს დასრულების შემდეგ გ. ფორდანიას თაოსნობით, კ. ბალმონტს საპატო ნადიმო გაუმართეს ახ. კლუბში“-ში, სადაც თამადად თვით კ. ბალმონტი პარჩეს. აქ სიტყვები წარმოსთქვეს კ. ბალმონტმა, ა. ი. ყანჩელმა, გრ. დიასამიძემ, ვ. კიჭორიამ, იოს. იმედაშვილმა, გრ. რომატიძემ და სხვ. კ. ბალმონტმა განაცხადა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანს მხოლოდ მაშინ ჩავთვლი დასრულებულად, როცა ქართულ ენას კარგად შევისწავლი და თვით წაიკითხავ დედანსო.

მონაწილე.

ბაძოს დრამა. წარმ. (მესამე მორიგი წარმოდგენა) კვირას, 4 X. სამეზობო კაცო-მოყვარე დარბაზში წარმოდგინა ირეთელის „ქრისტინე“-ს მიესალმებოდა მხოლოდ ადგილოდ დასაშინებელია. ქან-ქი-ჯაოჯიშვილს საცეცხიკოდ განასახიერა ტანჯულ-გაჩიყული ქრისტინე. ტაიორე იყო ბ. შალივაშვილი (დათაი). ხილო ქან წულუკეძის (მარია) მოისუსტებდა. კარგი ახალგაზდა, კრძნეული მთარსიყე იყო ბ. გიქია (იასონი). კარგები იყვნენ აგრეთვე ბ. აბოძე (მიტოშა), ქან წულუკეძისა (ნატალია) და ქან ახელე-ლონი (მარინე). სუსტ აღმოჩნდა ბ. ბახუა (ლევანი). რომელიც სოფლის გაწერტინელ დიკავანს უფრო მო-

გავარგებდათ, ვიდრე გამოქნილ მოქიეფე თავადს, ჩინებული მიკიტანი იყო ბ. აწყურელი. დანარჩენებიც ან-სამბლს ხელს უწყობდნენ. ხალხი მუდამ აუარებელი ეტანება წყვადენდელ სეზონს, რაც სასიამოვნოდ უნდა ჩაითვალოს.

რო—ბი.

საბურთალოს აუდიტორიაში. კვირას, 4 X

„უკუა“ ძალიან გვიან 9 1/2. დაიწყო (გათავდა 12 1/2 ს.), ვინაიდან ტრინსაოსოსთვის გაშვებამ წარმოადგინის დაწყების დროს (საღამოს 8 ს.) გავხანა კაცი ქალას. წარმოდგენამ ძალიან უფერულად ჩაიარა, მონაწილე-ნი იმედნად სუსტრი იყვნენ, რომ მოყარნახის ხმა უფრო გარკვევით ისმოდა უქანსენელ როგშიაკ კი, ვილ-რე თითონ მომქმულ პირთა. მონაწილთა უმრავლესობა (მეტადრე ბ. რვანოვი) სზირად თავის სიტყვებს უმატებდა და იმედნად შეუფერებელს, რომ პირსა სრულიად მახვილებოდა და აზრს ჰკარგავდა. სხვებთან შედარებით უკეთ შესარულებს ქანა მატარაძისამ (კეკე) და ბ.მა ბეგლარიძემ (ზიმზიმოვი).

კვირას, 11 X წარმოდგინეს „მეზობლები“. წარმოდგენამ საშუალოდ ჩაიარა. კარგად შესარულა თვისი როლი ბ. კოგოლაშვილმა, არა უშავდითრა: ქან მატარაძისას, ჩაკრკინისას, მარგულაშვილისას და ბ. თვალტრულიძეს და თვარაძეს, მხოლოდ როლები ცოტა სუსტად იცოდნენ. დანარჩენი მონაწილეები სუსტობდნენ. სასურველია, უკეთესად მომზადებულნი გამოვიდნენ ხოლმე სცენაზე. წარმოდგენა დაიწყო საღამოს 9 1/4 ს. და ნაშუალამევის 1 ს. და 10 წ. გათავდა რის გამოც დამსწრეთ შორის საყვედურები ისმოდა.

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ეს წარმოდგენები წესრიგის მხრივაც ძლიერ მოიკოვლებდნენ: დამსწრეთა უმრავლესობას (ბავშვები მ—12 წლ.) შეადგენდა (აღემატებოდა 60 %) რომელთა წივილ-კივილისა, ლანძღვა-გინებისა და ცემა-ტყუებისაგან შეუძლებელი ხდებოდა სცენაზე დანახვა-გაგონება. დარბაზში თამბაქოს წვეთ ერთმანეთის ცემა და უშვერი სიტყვები, მოქმედ პირთა ხმა-მადლა და ცინება—შენიშვნა, წარმოდგენების გვიან დაწყება, თავ-მომამბურებელი ანტრაქტები და ნაშუალამევის გათავება, აი სურათი, და თვატრის გამეგობა კი ყველა ამ უწყისობას თითქო გულდამშვიდებული შესტკვირის...

ჩამოთვლილი მებეზებისა გამო, ცოტად თუ ბევრად მებეზებული საზოგადოება ძალიან უშეკაცოდ მოდარჩა ამ წარმოდგენებში: ასეთ პირობებში წარმოდგენებზე დასწრება, დროს დაკარგვა და ფულის დახარჯვა სრულიად უსარგებლოა და ვერ აღწევს თავის მიზანს.

რათუ გამეგობამ მომავალში მაინც თავიდან აიცილოს საზოგადოების სრულიად ს.მართლიანი საყვედურები, საჭიროა ბავშვებისთვის გაიჩართოს ც.ლევდილა-საღამოები და სრულიად არ შეუშვან ისეთ პიესების წარმოდგენება მაინც, როგორცია „ქრისტინე“.

და წესიერების დამრღვევთა წინააღმდეგაც საჭიროა მიღებულ იქმნას შესაფერისი ზომები. ამ მხრით თვით დამწერეთაც უნდა დაიცვან რიგიანობა. მეტად საჭიროა აგრეთვე წარმოვადგინოთ, რაც შეიძლება ადრე დაიწყოს, რომ აღრვევ გათავდეს და დამწერე მშრომელ ხელს საშუალება მიეცეს მეორე დღეს თავის დროზე ადგეს დაღობულუკისათვის საქმეზე წასასვლელად.

ლორჯი

პიათურაში კვირას, 27 ენვე. ადგილობრივმა სკენის მკვარეთა წრემ ვ. არაბიძის რეჟისორობით წარმოადგინა ი. გედევანიშვილის „გამკემი“. პიესის მთლიანობა ვერ იყო დატული, თუმცა პირველად ენაზე სრულზე ისეთი შეჭრა ჩელიშვილი, როგორც ვაშაქიერა ვ. არაბიძემ, სამწუხაროდ მის კარგ შთაბეჭდილებას სხე ნი აქარწყლებდნენ. ბ-ნს არაბიძეს ზოგიერთი ჭაბუკი რომ არ გადაეპარმებებინა. უკეთესი იქნებოდა ქ-ნი მოათამაშეთაგან ვარგისი იყვნენ ქ-ნი კაკაბაძე (დიდიძის დედა) და შ. ვაშაძე (არჩილ დიდიძე). ეს უკანაყნელი ერთი წელია, რაც სკენაზე თამაშობს და ზოგიერთ როლების ასრულებაში უტყუარი ნიჭიც გამოიჩინა. თუ მეფათი მუშაობას ვაგვარძობს, კარგი სკენის მუშაკი დადგება.

შემდეგ წარმოადგინეს ცოცხლად გუნიას კომედია „დედის ეზოა“. კარგი იყო ვ. არაბიძის (ილიამი) ქ-ნი ნუკუბიძის (თაფლო) რეჟისორთა „გამკემში“ ნუსტდებოდა, იმდენად კარგი იყო კომედიაში. დანარჩენი თვის ადგილზე იყვნენ. სამწუხაროა, რომ ბ-ნს არაბიძის მოუშაბდებლად—სუსტ წრეში უხდებდა მუშაობა, რადგან დამსხუბრებელი სკენის მოყვარენი ჰოთთურის მაკის ცემის შეწყვეტისთანავე აქეთ-იქით დაიფანტნენ და ვინც დარჩნენ, ისინიც ძვირად გადმონებდნენ ხოლმე სკენას. სკენის მოყვარე ქალთა ისეთი „ქოჩისისა“, როგორც შვიკიეს წარმოებისა...

ჯ—ბა

ფერილი აგებვი

➔ **ქართულ მხანობათა ამხანაგობა** სდგება თბილისში, მაგრამ წარმოდგენების გასამართავი ადგილი-კი ჯერ ვერ უშოვნიათ.

➔ **ახალი კლუბის** მამასახლისთა საბჭომ 10/X დაადგინა, დრამ სახ. გამგეობას თვიურად აძლიოს 400 მ. სუბსიდია, ხოლო 400 მ. წარმოდგენების სამართავად იმ პირობით, რომ დრ. სახ. დსმა კვირათითი წარმოდგენა გამართოს კლუბის სკენაზე.

➔ **ქართ. ღრამ. სახ. ის გამგეობა** მეკადნიეობს, სათეატრო დარბაზი იშოვნოს სადმე დასის მოსათავსებლად.

➔ **ახალმა კლუბმა** სასკენო დეკორაციების დახატვა მიანდო ვ. სიდაშონ-ერისთვის.

➔ **დ. მ. ღუშაბაძე**, „ზაკ. რეპ“-ის წარუდაქტორალი, რომელიც იმ ვე გახუთში მოთავსებულ წერილების გამო სამართალში მისცეს, 13/X გაამართლა.

➔ **ქ. ფოცხვარაშვილი** ქუთაისში ამ მოკლე ხანში სასულიერო კონკერტს ჰმართავს.

➔ **ახალი გაზეთები** გამოდის ქუთაისში 1. ლენინობისთვის ვაგველდორი „მეგობარი“ კიბა აბაშიძის და გ. მიააშვილის მონაწილეობით, და თბილისში საორშაბათო „ზეგითი“.

➔ **პ. ა. შოთაძე**, ცნობილი გურნალისტი და საზოგადო მოღვაწე, 11/X სამეურნეო ბანკის დირექტორად აირჩიეს 124 ხმით 29-ის წინააღმდეგ.

➔ **სახალხო სახლში** 21/X წარმოდგენილი იქნება „მეფე“, 28/X—ახალი პიესა „ცხოვრების ტალებში“—სანდლოძისა.

➔ **ქუთაისის ღრამის** საქმე კარგად მიდის.

— **ქართული თეატრის შესახებ** ქართ. კულტ. მოვკ სახ-ის თაოსნობით ალ. ასპეტე-ღაშვილამ 15/X საკურადგებო მოხსენება წაითხათა ადგე, სკარ. „-ში.

— **მოღვაწეთა აგარაკის ასაშენებელ ფულის შესაკრებად** ქართ. კულტ. მოყვარეთა სახ-ბაშ აიჩნია სვანგებო კომისია; თავმჯდ. ალ. სიმ. ღოთთქიფანიძე— მისი ამსახვა—ერ. ესტ. ფურცელაძე, მდივ. ვას. ფარ. ეიფანი.

რეაქტორ-გამოშვებული ანნა იმედაშვილისა

სარგუშის საგ. კლუბი მიხეილის პრ. № 151 ე-თი კვირის პრეგ 17 ღვინობსთვ. 28-დ შაბათს | სიმებიანი ორკესტრის კონკერტს კვირა | პრესმანის ლოტარობი ორშაბ. სინემატორაფი სამშაბ. სიმებიანი ორკესტრი ოთშაბ. სინემატორაფი ხუთშაბ. სიმებიანი ორკესტრი პარასკევს. საზანდარი, სინემატორაფი შაბათი | სიმებიანი ორკესტრის კონკერტს კვირა | პრესმანის ლოტარობით შმსხავალი ფასი: მამაკენი—30 კ. ქალები და სტუდენტები—20 კ. დასაწყისი საღამოს 8^{1/2} საათზე.



პრ. მინ. პ. ნ. ავალუნიანი. საბჭოთა კ. და გოლოვინის პრ. კლუბი.